მატჩი ლენინგრადში

ლენინგრადი. (ტელეგრაფით. ჩვენი სპეც. კორ.).

24 აგვისტოს ლენინგრადის ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი "ა" კლასის გუნდებისათვის. ერთმანეთს შეხვდნენ "შრომითი რეზერვები" (ლენინგრადი) და "დინამო" (თბილისი).

როგორც თბილისელთა, ისე ლენინგრადელთათვის თუნდაც ერთ ქულას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ თამაშმა თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. "შრომითი რეზერვების" ფეხბურთელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება. რამდენიმე იერიშის შემდეგ მათ შედეგსაც მიაღწიეს – ცენტრალურმა თავდამსხმელმა სოლოვიოვმა მეტად შორი მანძილიდან დაარტყა კარში. მარღანიამ დაიჭირა ბურთი, მაგრამ გაუვარდა იგი ხელებიდან. კოლობოვმა დაასწრო ყველას და გახსნა ანგარიში. ეს მოხდა მე–19 წუთზე.

მეორე ტაიმში უპირატესობა დინამოელთა მხარეს იყო. ისინი ხანგრძლივად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. ბოლო 20 წუთის მანძილზე ბურთი თითქმის არ მოსცილებია "შრომით რეზერვების" კარს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. 86–ე წუთზე დაიკარგა ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა: კოტრიკაძემ ბურთი გაგზავნა ცარიელ კარში, მაგრამ ზედ კარის ხაზიდან იგი მცველებმა მოიგერიეს. მატჩი დამთავრდა ლენინგრადის "შრომითი რეზერვების" სასარგებლოდ – 1:0.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა – 2:1.

"ლელო", 28 აგვისტო, 1955 წ.